კვირა, 13 სექტემბერი

ფასი 10 კაპ.

# მათრახი

## და სალამური

№ 14

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი




## ქ ა რ ა ვ ა ნ ი.

„ოჰ სამშობლოვ, უმადურო,
ვინ გასწირე იცი განა?
ვინაც შენი „დიდებისთვის“
სისხლით მორწყო ეს ქვეყანა.
მე, რომელიც სიყრმითაგან
დღევანდლამდე შენ გეტრფოდი,
დაუღალავ „შრომისათვის“
ასეთ ბოლოს მოველოდი?
ვინც ირანი დიდებული
ეგზომ მორთო, დაამშვენა,
ვის „საქმეთა საგმიროთა“
ვერ გამოსთქვამს კაცის ენა,
ვინაც მამულს გაუმრავლა
მძარცველი და მუქთა ხორა,
დღეს შენ უნდა მოიძულო
და გასტყორცნო სადღაც შორა???“
ნაღვლიანად ღიღინებდა
ქარავანის წინამძღოლი
ნაშახარი ალი მამედ
და იმისი ოთხი ცოლი.
გზა ეჭირათ რუსეთისკენ...
ერთად-ერთი დარჩა მხარე,
სადაც კვალად პატივშია
ხალხი ეგზოძ გულ მწუხარე.
იქ, სამშობლოს კაბადონზე,
გაჰქრა მათი მზე და მთვარე
ვერ იხილონ შუქი მისი
ცრემლნი ღვარონ რაგინდ ცხარე.

18796

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადესაში მისცეს ბინა
ზღვის ნაპირად სასახლეში,
სადაც უნდა მიიტანონ
მათ თავისი მძიმე ლეში.
იქ დახვდება შავრაზმელთა
სათაყვანო ლეგიონი
თუმც თავისიც ბლომათ მიყავთ
მოღალატე და შპიონი.



# ეშმაკის ინტერვიუ.

**საღვთაურო სკოლაში.**

უეჭველია იფიქრებთ: ლაპარაკი თფილისის ქართულ გიმნაზიას შეეხებაო, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ეს სრული შეცდომაა და დღევანდელი ინტერვიუ ქუთაისში მოგზაურობის ნაყოფია.

სამი გაკვეთილი უკვე გამოსულიყო, როცა სკოლის კიბეზე ავედი. ამას დიდ დასვენებას ეძახიან! ბავშვები, ყმაწვილები და ჭაბუკები ბლომათ ირეოდენ, როგორც ეზოში, აგრეთვე სკოლის კულუარებში. ძლიერ მეუცხოვა, რომ ერთი მასწავლებელი ვერსად დავინახე. ეს ოცნებაა!

მსწრაფლ განვიფიქრე: სადა ვიპოვო მწყემსნი კეთილნი, რომელთა დაუტოვებიეს ცხოვარნი თვისნი მეთქი. მოუხმე ჭაბუკსა ერთსა და ვკითხე:

— შენი სახელი?

— წყალაძე ბატონო.

— გვარი შენი?

— ვანო.

— შეიძლება იცოდე სად შემიძლია ვნახო მასწავლებელი სვიმეონ ქვარიანი?

— დუქანში გახლავთ, ბატონო.

— მთავრიშვილი?

— ისიც იქ ბრძანდება.

— ოცხელი?

— ისინიც.

— ქეიფობენ არა?

— არა ბატონო, რა დროს ქეიფია გაცხარებული ვაჭრობა აქვთ.

— როგორ თუ ვაჭრობა?

— ისე ვაჭრობა რომ...

უცებ ლაპარაკს სვიმეონი წამოესწრო; მოსწავლემ ხმა გაკმინდა და მიიმალა.

— მობრძანდით ბატონო. თავაზიანათ მიმიპატიჟა სვიმეონმა და მეც გავყევი.

— სწორეთ გაგვამწარა ამ მალაზიამ, განაგრძო მან.

— სამიკიტნო ხომ არ დაგიარსებიათ ბატონო სვიმეონ?

— რას ამბობთ, რასა ბრძანებთ. მე კერძოთ არაფერიც არ დამიარსებია, მაგრამ ამხანაგებს ვეხმარები. წიგნებით სავაჭრო გავხსენით.

— ძლიერ სასიამოვნო საქმეა, ძლიერ სასიამოვნო.

— ბარემაც რომ სასიამოვნოა, მაგრამ ბევრს საწყენათაც დარჩა.

— ნუ თუ?

— წარმოიდგინეთ, გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენს პიტომცებს ვურჩევთ ჩვენთანვე იყიდონ წიგნი და არა სხვა ჩარჩებთან.

— ვერ გამიგია, აქ საწყენი ვის რა უნდა ქონდეს?

— დიახაც არაფერი, მაგრამ ჩვენი ხალხი ხომ მოგეხსენება...

— სანოვაგე კარგი გაქვთ?

— რის სანოვაგე?

— უკაცრავად წიგნები.

— სულ ახალი სისტემისა. თუნდა ახალიც არ იყოს ჩვენს მოსწავლეებს ნათქვამი აქვთ სხვებთან თავი არ მოიტყუონ.

— რასაკვირველია! „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო".

— კორხანიძის წიგნებზე შეგვემთხვა ერთი უსიამოვნება.

— როგორ?

— როგორ და ისე რომ „იმერეთის" კანტორას ამ სახელმძღვანელოს ახალი შევსებული და სურათებიანი გამოცემა შეუძენია. ბავშვებიც გაბრიყვებულან და ახალი წიგნები შეუძენიათ, მაშინ როცა ჩვენს ამხანაგს, მთავრიშვილს იმდენი ეწყო შარშან მონარჩენი ცალები.

— გლახათ ალგიზრდიათ, ბატონო სვიმეონ, მოუმენი, რომ საკუთარ ძველს სხვის ახალზე სცვლიან. ქართულის მასწავლებელს ვერ შეუგნებინებინებინებია მათთვის ხევსურის სიტყვათა აზრი:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა"
არ გავცვლი მე ჩემს აღმზრდელებს
სხვა წიგნით მოვაჭრებზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ამას დავით გურამიშვილის აზრსაც დავუმატებთ, სადა იგი ამბობს.

„ცემა გმართებს აღმზრდელისა,
რა ყმა ნახო ავად ზრდილიო“,

მაშინ თქვენ არც თუ ამდენი მორიდების ღირსნი დარჩებით.

— არა, არც სულ ასე წასულა საქმე. როცა ბავშვებმა გაიგეს თავისი დანაშაული მასწავლებელთა წინაშე, მაშინვე მოინანეს შეცოდებანი თვისნი, ახალი წიგნები გამომყიდველს დაუბრუნეს და ნაცვლად ძველები გამოართვეს თავიანთ აღმზრდელსა და კეთილის მყოფლებს.

— ბარაქალა, ბარაქალა! ალბათ მასწავლებლებმა რიგიანათ განუმარტეს დანაშაულობა და შეაგნებინეს სინანულის საჭიროება.

— რასაკვირველია შევაგნებინეთ. წარმოიდგინეთ ასეთ შეცდომას არავინ არ მოელოდა, რადგან ვაჭრობის დაწყებისათანავე მთავრიევმა შეადგინა საჭირო წიგნების სია ჩვენი მაღაზიის მიხედვით და დაურიგა მოსწავლეებს.

— არა, არც ისე გასამტყუნარნი არიან ბ-ნი სვიმონ ყმაწვილები. რა უყოთ: ახალ ხილს და ახალ ამბავს რამდენი კაცი შეჰყავს შეცდომაში. იმათ კიდევ ახალი შევსებული წიგნი ამჯობინეს ძველს. ეს საპატიო მიზეზია დანაშაულობათა განსჯის დროს.

— აკი ჩვენც მაგით ვიხელმძღვანელეთ.

— ვაჭრობის საქმე როგორ მიდის?

— ჯერ-ჯერობით ჩინებულათ. ჩვენები ხომ ჩვენია და სხვებიც ბლომათ გვნახულობენ.

— თქვენც ეხმარებით ვაჭრობაზე?

— „ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო“ როცა ცოცხალი ვაჭრობაა გული არ მითმენს არ დავეხმარო. მე კი არა ინსპექტორიც მაღაზიის წინ ხშირათ ბოლთასა სცემს ხოლმე.

— თავისუფალი ვაკანსია გაქვთ?
— სადა მაღაზიაში?
— არა სკოლაში?
— რა მოგახსენო, ეს ინსპექტორმა იცის.
— სად შეიძლება მათი ნახვა?
— მობრძანდით მაღაზიაში.
— გმადლობთ, მშვიდობით.
— მშვიდობით ნახვამდე.

**ეშმაკი.**



***

როცა მოვკვდები, [illegible]
დახედავს ჩემსა სახესა
და კუბოშიაც მომიტანს
შავ საქმეს, ბნელსა ზრახვებსა...
ცხედარს გარს მოუსხდებიან
ძმები და სულის სწორები,—
ის ჯვარს ემთხვევა ჩემს გულზე,
ცოცხლითვე მონაშორები!
ნეტავი ვინმე კითხავდეს—
თავს რათ ატანდა ძალასა,
„რათ არ ასვენებ“, ეტყოდეს
გველსა შხამიანს, ჯალათსა!

**იასამანი.**

# ტყავი ვის დარჩა?

(ზღაპარი მოზრდილთათვის.)

ერთ უღრან ტყეში საშინელი მხეცი დათვი ბუდობდა. ახლო-მახლო სოფლებს მისგან და მისი წიწილებისგან მოსვენება არა ქონდათ: გამოვარდებოდენ, ხან ამას დაუღეთავდენ, ხან იმას და შეხეთქავდენ ხოლმე! საწყალ ხალხს თავზარი ქონდა დაცემული; გარეთ რო გამოდიოდენ, შიშით აქეთ-იქით იხედებოდენ: არ გვეცეს ი ოხერიო! სწყევლიდენ, ქვას-ქვაზე უდუღებდენ დათვსაცა და მის წიწილა-დათუნებსაც, მაგრამ ცარიელი სიტყვით რა გამოვიდოდა?

მართალია, უთხალებიც გამოჩნდენ— (მამაცობაში მეტადრე ერთმა ოჯახმა გაითქვა სახელი!)—დაავლეს პეტებს ხელი, სანადიროთ მივიდენ, მაგრამ, ვაი თქვენ მტერს, რაც იმათ დღე დაადგათ! ზოგის ძვლები ეხლაც არსადა სჩანს...

დიდხანს იყვენ ამ გაჭირვებაში, ბევრი ჭაპან-წყვეტა გამოიარეს, ბევრი ხალხი დაიღუპა და დაიღაგა, მაგრამ ხსნა არსაიდან იყო...

ბოლოს, ერთი ბიჭი ჩამოვიდა ქალაქიდან და, როცა დაინახა ამათი უბედურობა, ურჩია: „ხალხო და ჯამაათო! თითო თითოთ რასა იკლავთ თავსა, ხელი ხელს მიეცით და ყველანი ერთად მიდით! ვნახოთ, მაშინაც გაგიმაგრდებათ?!“

— უჰ! შენ გიშველა ღმერთმა!—სიხარულით შეჰღრიალა ხალხმა და ხელში აიტაცა ქალაქელი ბიჭი— ძლიკს ერთი ჭკვიანი არ გამოჩნდა და ნამდვილი წამალი არ გაგვიდოთ! აქეთ ხეევნა, იქით—კოცნა... ძველ მონადირე-სერგოსაც კი შეშურდა!

დიდიდან პატარამდის დაავლეს პეტებს ხელი და ყიყინ-ხივილით ტყეისკენ გაემართენ: წინ ქალაქელი ბიჭი და ძველი მონადირე-სერგო მიდიოდენ, შემდეგ

დანარჩენები და სუ ბოლოს ბატონიშვილი (ეს უკანასკნელი ნასწავლი კაცი იყო, მაგრამ იმასაც იკადრა ოთახიდან გამობრძანება — ხან და ხან ამასაც უფაცურებდა დათვი ტოტებს!)

ეს ამოდენა ხალხი შეიჭრა ტყეში და გაგიხარიან, ცუდი დღე დააყენა დათვსაცა და წიწილა-დათუნებსაცა! დიდი ხნის ჯავრი ახლა იყარეს; მეტადრე ძველი მონადირე სერგოა იქნევდა მარჯვედ კეტს!

დათუნები კი ბლომად გაწყვიტეს, მაგრამ, ეს არი უბედურობა, დიდრონმა დათვებმა, დახე, სოროში არ შეასწრეს შეძრომა! ბედი კი სწყალობთ მაგ ვერანებს!

— დაუშინეთ ქვები! — შეჰღრიალეს ქალაქელმა ბიჭმა და სერგოამ.

— მოიცადეთ! — გამოვარდა ბატონიშვილი — რას სჩადით, ტყავი გაუფუჭდება! აფსუსია, მშვენიერია საპორთფელოთ... თან ისეთი მადლიანათ გადაავლო თვალი დათვის ტყავს, რო ქალაქელ ბიჭს და სერგოას ყელში სისხლი მოუვიდათ.

— რაიო?! „პორთფელებიო?!“ — თვალები გადაუბრიალეს ორთავემ და სწვდენ ყანყრატოში — აი, შე მსუნაგო, შენა! კიდეც მაგიტომ წამოგვყევი?! — უთაქეს და უთაქეს...

— მე, მე კი არას მომცემთ, ძმებო? — წამოდგა ფეხი ერთმა შინა-კაცმა-წიწკნა, წიწკნა, საეროვნო ქურქათ...

— აი, შენცა! — წაჰკრა და წაჰკრა ქალაქელმა ბიჭმა... შინა-კაცმაც არ დაუთმო და აუტეხეს ერთი ვაი ვაგლახი!

— ტყავი არ გაიყოფა, — სთქვა ძველმა მონადირე-სერგოამ — ჩვენ სოფელს ეკუთვნის: ყველაზე ძლიერ ჩვენა გვჩაგრავდა დათვი.

— მერე რა უყოთ — მიახალა ქალაქელმა ბიჭმა — თქვენ ჩამონაჭრებიც გეყოფათ!

— როგორ თუ „ჩამონაჭრებიო“?! — იტკიცა ძველმა მონადირემ და. . ორთავენი ერთმანეთს დაეტაკენ... გადადიოდა ნაბდღვრიალები!

— რა გაჩხუბებთ, თქვე სულელებო?! — წაეჩხირა ერთი გადამთიელი: არც დათვი ვარგა, არც იმის ტყავი! ჩაკალით, ლუკმა-ლუკმათ დასჭერით! გამიშვით! — გაიწია სისხლიანი თვალებით დათვის სოროსკენ, — მე მოუვლი მაგასა!

— ვაიმე, ტყავს გაგვიფუჭებს! — შეჰღრიალეს ყველამ ერთათ — დაიჭით, შეჰკარით ეგ გიჟი! — ეცენ გადამთიელსა და თავ-პირი აუნთეს ცემით. ესეც არავის დაუვარდა და მარჯვეთ ურიგებდა ყველას მუშტებსა! აქეთ-იქიდანაც, რაკი გაიგეს — დათვი დაუჭერიათ და ტყავს იყოფენო, მორბოდენ და მორბოდენ სხვა და სხვა „სოროის“ ხალხი.

— „მე გამომაჭრევინეთ“! ტყავი მე გამომაჭრევინე, მე! „ჩემისთანა „ზაკრთიშჩიკი“ არავინ არი!“ „უკაცრავათ, შენ მე ვერ მაჯობებ „პარტნიორობაში!“ — ისმოდა აქეთ იქიდან.“

აირია მონასტერი, დ ავიწყდათ სოროში მიკუნჭული დათვები და დაერიენ ერთმანეთს! ვინ ვისა სცემდა, ვეღარც კი არჩევდი: ქალაქელი ბიჭი სერგოას და ბატონიშვილს, ამ უკანასკნელს — ყველანი, სერგოა-ქალაქელ ბიჭს... ერთი სიტყვით, დედა-შვილს ვეღარა ცნობდა!

ხალხი გაოცებით უცქეროდა და თავს აქნევდა: „რა ქნა, ჯერ დათვი არ დაუჭერიათ და ტყავს იყოფენ; ერთმანეთს ფლეთავენ?! დიდება შენდა უფალო!.. არა, ძმაო, აქ არა გამოვარა; წავიდეთ, წავეთრიოთ ჩვენს ქოხებში. თვალი ამათაც გამოსძვრებათ და დათვსაცა! ჯერ თვითონ მორიგდენ, მერე ჩვენ გაგვიძღვენ!“ — აბრუნეს ზურგი და გასწიეს შინისკენ.. დათვებსაც ეს უნდოდათ ისკუპეს, ამოძვრენ სოროდან, ეცენ მოჩხუბრებს და ზოგს კლავი გამოაგლიჯეს, ზოგს — ფეხი, ზოგს — ცხვირი... გადამთიელი კი იქვე ჩაღუკმეს!

მას შემდეგ უფრო წათამამდენ დათვები და მათი დათუნები, უფრო თავისუფლათ ნავარდობენ სოფლებში... საწყალი ხალხი უფრო მწარეთ მოსტირის თავის ბედს, მაგრამ ხალისი და იმედი აღარავისა აქვს, რომ მეორეთ წავიდენ და შეიწყვდიონ სოროში თავისი მტერი... სწყევლიან და ქვა-ქვაზე უდუღებენ დათვსაცა და მონადირეებსაც — „რა დროს ჩხუბის ატეხა იყო, ჯერ დათვები მოეკლათ და მერე გაეყოთ ტყავიო!“ ტყუილათ აფიტეხეთ ი ვერანა! ნეტა სულაც არ აგვესისიანებაო!“

მონადირეები კი ეხლაც იარებს იჩხუნენ, თან ერთმანეთს აყვედრიან — „სუ შენი ბრალია, სულა!“ — „ისევ შენი ბრალია, შე ხარბო! თვალი წაგივიდა დათვის ტყავზე!“ ე...ეხ! რაც იყო, იყო, ძმაო, და მოდი ერთი კიდევ ვცადოთ დათვის შემწყვდევა! ეხლა კი ვეღარ გაგვისხლტება ხელიდან! მეტადრე თუ თათარ ახმეტასაც თან წავიყვანთ, საქმე უთუოთ გაიჩარხება... მოხერხებული ბიჭია!

ნ. აზიანი.





## მესტვირული.

მეც ერთი მუშა ვიყავი
დღე მუდამ ოფლის მღვრელია,
მარა რა მექნა, სულ ყველამ
მე შემიშალა ხელია:
ეკზეკუცია ჩამოდგა
გამომირეკა ნალია,
აქ კიდევ გვალვამ გადასწვა
ახალი მოსავალია.
თავ შემონარებ კარდალას
მღვდელმა მიაპყრო თვალია,
(ასე მოქმედობს ყოველთვის
ძლიერთა სამართალია·)
ვერ მოვითმინე, გავმწარდი,
სულ შინ და გარეთ ღიჭინი,
ავიღე სტვირი, დავიწყე
ჯავრიან გულზე ღიღინი.
„ჯურუყვითლებო, თუმცალა
შემოგიკიდეს გენია,
მაინც არ უნდა „ისგექნათ“
მირიანა და ბენია.
ჯერ ეს ვაკმაროთ ჯურუყვეთს
და ლანჩხუთს გავყვეთ ნელაო,
სუ, აგერ ვილაც გაჰკივის
“სიბუსკა სიჩეჩელაო...“
ასე მეგონა გავლმერთდი
ცაზე მივიდგი კიბეო,
რაც ავკაცი და ჯაშუში
ძმობილათ მოვიკიდეო.
თავზარი დავეც სოფლებსა
ვაწამე ჯურუყვეთიო,
ვინც ამოვიღე ნიშანში
არ გავახარე ერთიო,
სულ მეგრელები მინდოდა
მწერლებათ სტარშინებათო,
ტახტად ზუგდიდი დამედგა
გურია საკორტნელათო;
მარა შემომწყრა ილორი
ფეხი გამიშპა ადრეო,
გურია ისევ ისეა
მე ტყვილათ ჩავიბანდეო.
უცებ ვილაცამ შემნიშნა
ამას არ შვები ქკუითო,
ზედ ექიმებმაც დასძინეს:
ავათმყოფია სულითო;
ატირდენ მღვდლები აცანის,
ახლა გაგვიწყრა ზენაო,
ეს გვიჯეროდა ყველაფერს
ეს გვპატრონობდა ჩვენაო,
ახლა ხომ მაგის ოქმები
სხვა რიგათ აიხსნებაო,
და ბოიკოტი ვინ იცის
როდისღა მოგვეხსნებაო.
აქ კაკაც ოდლი ვიკითხე
„იმისთანებში ქებული“
ნაპანღურევი წასულა
კაცთაგან უკუგდებული.

**ველდიდელი ჩხიკინაძე.**

---

## გურული სცენა.

(უძ. გი-რგის)

**მაჭანკალი** (გასათხოვი ქალის ოჯახში) დიდმა ღმერთმა კი იცის, ჩემო ბატონებო, რომე მიზდლემჩი თქვენი ოჯახის ერთგული ვიყავი. ვეფერს გარგიოდი, მარა ახლა იმისანა სიძეს გამოგიშვამაულებ შენი მაროიეიზა რომე, ორი ორს კითხავდეს. ბიჭათ ლომ-ტარიელია, კაი სახლი, კაი კარი, კაი მიდამო: გადასახედავ არდგილზე წამოჭიმული დვარეცი, ფული ანგლიეის ხელმწიფეს არააქ იმდენი, ცეკვაში ცხაკაია ვერ მუუდგება, სიმღერაში შავიშვილი, ღიტარაში ბებია, კარტში ბეჟუკიე, ნარდში კირილე, და ვაჭრობაში ცხაკუნიეი, ხელიდან ოქრო გამოუვა და პირიდან მარგალიტეპი. აზნაური არაა, მარა ჯერეა და სასულიერო მწვალებისაა, მერე და ღილდათ დამტკიცებულია ღმერთს დუუჯერე ქალიშვილები ბუზებსავით ესევიან, მარა არცერთი არ მუუვიდა გუმანში. ეგება ქე გუცინოს ბედმა, ქე გაგვიცოს ცა-

მა პირი. ვიყიდოთ ოდელისტი. ფერი უმარული, გუნდა ლაზრსტაკი, შევსცხოთ შამოვსცხოთ, გავჩოთქ-გამოვჩოთქოთ, სანთელთან დავაყენოთ და თვალი დოუყენოთ.

**მშობლები** (სიხარულით და სიამით ცას ეწევიან) ღმერთმა ყოლიფერი კაი მოგცეს, თუ რამე კაის მიზამ მიზდღემჩი შენი პატივისმცემელი ვიქნები. ერთ წითელს ჩემმაგიერ ჩაგიბღუჯავ ჯიბეში და სხვაი სხვაია.

**მაჭანქალი**. ღვთით შევასრულო და ორსაც კი მბერტყებ გულზე. მშვიდობით

**მაჭანქალი** (სასიძოსთან) ხო, ხო, ხო, ხო! ქალი მოგინახე მარა რაქალი ვანიჩქავ! ტატი! აზნაური, მოსაქმე მეოჯახე,—მთვარესავით გაბგიალებული, ერთ ქალათ მისი ტანადობა ღირს, ორათ მისი თმაი, ქალაღდისავით თეთრია შაქარსავით მოლაპარაკე, ნესტარ დარეჯანი გეგონება, მარა შენი რა მოეწონება თუ შეიტყო ნაქირავებ სახლში დგანხარ კუბეჭასავით ვალით დაძაბული ხარ? არ ვიცი სწორეთ აღარ ვიცი... მარა ლურჯი თუ იქნება ჩემი უქნელი რაა ქვეყანაზე? მიითხოვ-მოითხოვე ტანისამოსი თმაი გაახუჭვიე, წვერი მეიკანკალე, სანახავათ წევიდეთ და თუ რამე მოვრიოთ, ხვალე შარნაც ვითხოვოთ მერე რას ვერ იშოვნის ვისაც კი ქალი ყავს" გამობრუნებული მიღიღინობს.

ორთავეს რო ვაზრმავებ
მორთულაძე ქალი ვარ,
რომ სიმართლით ვიარო
მაშ რის მაჭანკალივარ?
ოღონდ თეთრი ფულები
ჯიბში ჩამომითვალონ
მერმეთ თუნდაც ერთმანეთს
თავი თავს მიახალო.

**შხანკოლა**



# კომისიაში.

(დასასრული)

**ხასო**. განაგრძეთ ბ-ნო ვასო, განაგრძეთ.

**ვასო**. (კითხულობს).

„პატიოსანნო წევრნო!

**თხოვნა**.

ეს მეთორმეტე წელიწადია, რაც ვსწავლობ ყაზანის უნივერსიტეტში სტუდენტათ. საქმის სიყვარული ძლიერ მიტაცებს, მაგრამ მაინც მინდა უთუოთ გავათავო სწავლა, თუ ღვთისა და თქვენის დახმარებით დამენიშნება ამ წელიწადში სტიპენდიის დახმარება, რომელიც მომცემს შეძლებას არსებობისა და სწავლის განგრძობისას, რასაც მე განახლებულის ენერგიულის ძალით შევუდგები, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ამდენი ხანია, ამასა ზედა ვხარჯავ ჩემს ძალ-ღონეს, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა, კეთილს საქმეს მოხმარებოდა და ადრე დამესრულებია კარგა ხნით დაწყებული სწავლა მშობელთა ჩემთა სადღეგრძელოდ, ეკლესიისა და მამულისა სასარგებლოთ.

სტუდენტი იოაკიმე ბერაძე.

სოფ. განისკარი. 14 ავგუსტი".

სწორეთ სემენარისტი უნდა იყოს ეს ოჯახ დაქცეული.

**ხესო**. მამაცხონებული თითონ თუ 12 წელიწადი სწავლობს ახლა სხვას მისცეს საშვალება სწავლისა.

**ვასო**. თორმეტი წელიწადი დაუხარჯავს და აღარ უნდა ელირსოს დასრულებას?

**ხოსო**. თუ მართლა სემენარისტია, დაუსვათ მინუსი.

**ვასო**. უცილობელი სემინარისტია.

**ხოსო**. სემენარიამ ამოაგდო ჩვენი ქვეყანა. ყველა დემოკრატია იქიდან გამოვიდა.

**სოსო**. რა ბრძანებაა, ბ ნებო, სემინარიაში დასრულებული ღვდლები უფრო მეტს ტყავს აძრობენ ხალხს.

**სისო**. ეს ყველაზე არ ითქმის. მართალია არიან ასეთებიც, მაგრამ უმეტესობა სულ სხვაა.

**სოსო**. სუყველა ძარცვავს განურჩევლად, არც ერთი არ ინდობს.

**სისო**. ეგ ცილისწამებაა უმრავლესობაზე.

**ხოსო**. ბატონებო! საჭიროა ვიცოდეთ სადაურია ეს ყმაწვილი თორემ შეიძლება შეცდომაში ჩავცვივდეთ.

**ბესო**. ჩემის აზრით სულაც არ არის საჭირო ასეთი წვრილმანები.

**ხოსო**. მართალია, ბატონებო, ჩვენთვის ყველა ქართველი ქართველია, მაგრამ ქართველიც არის და ქართველიც იმერლობა, ბატონებო, ძლიერ მოხერხებული ხალხია. ვინც წერა იცის ბატონებო, ყველა სწერს თხოვნას. რასაკვირველია ჩვენ იმერლობით არ დავიწუნებთ არავის, მაგრამ საქმისათვის მაინც საჭიროა.

**ვახო**. მაშ გამოვიკვლიოთ, რაღა დროს ვკარგავთ. ჩემი აზრით ეგ სოფელი ფოთის მაზრაში უნდა იყოს.

**სოსო**. რასა ბრძანებთ, ს. განიკარი ბორჯომის მაზრაშია.

**ბესო**. ბატონებო, არც ეგრე შეიძლება. ბორჯომას მაზრაში ს. ტაშისკარია და არა განიკარი. თუ არა ვცდები განიკარი გურიაში უნდა იყოს მდინარე ცხენის წყალის პირათ.

**ხოსო**. ბატონებო, თედო ჟორდანიას ისტორიის მიხედვით ცხენის წყალი სამტრედიის უეზდაშია და არა გურიაში. სოფ. განიკარი ჩემის მო-

საზრებით ან თელავის მაზრაში უნდა იყოს, ან სხვაგან სადმე საქართველოს კუთხეში.

**ვასო**. სრული ჭეშმარიტებაა. როგორც სახელი გვიჩვენებს სადმე განზე უნდა ჰქონდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

**ბესო**. ჩინებული მოსაზრებაა!!

**ხოსო**. გადავდოთ ჯერ ესეც.

**ყველანი**. გადავდოთ, გადავდოთ...

**ვასო**. ძლიერ ნელა მიდის ჩვენი მუშაობა. (კითხულობს).

,,ბ-ნ ზურმუხტაძის სტიპენდიათა გამნაწილებელ კომისიას!

აგერ მესამე წელიწადია გთხოვთ: შეხვიდეთ ჩემს გაჭირებულ მდგომარეობაში და მომცეთ საშვალება, დავაბოლაო დაწყებული საქმე. ძლიერ მრცხვენია, რომ მათხოვრათ გამოვდივარ, მაგრამ ოჯახური გარემოება და სრული უსახსროპა მაიძულებს, ასე მოვიქცე. ჩემი ორი ძმა, რომელთა იმედითაც ვაპირებდი სწავლის განგრძობას, მოძრაობაში მონაწილეობისათვის დღესაც ციხეში სხედან და მათგან არა თუ დახმარება, ხარჯიც უზომო აძევს ისედაც მრავალ-გზის აწიოკებულ ოჯახს. სრული იმედი მაქვს, თქვენ არ მოჰკვეთთ ჩემს იმედებს და არ ჩამიქრობთ მომავლის ლამპარს.

გიმნაზიაში კურს დასრულებული თეოფილე წკნელაძე. სოფ. ჩხიკვიეთი. შორაპნის მაზრა''.

**ხოსო**. ბატონებო! ჩვენ არა გვაქვს არავითარი ზნეობრივი უფლება თანხათა განაწილების დროს გლეხი და თავადი გავარჩიოთ. ან იმას მივაქციოთ ყურადღება თუ ვინ რეაქციამ და ვინ რევოლიუციამ დააზარალა.

**ბესო**. სრული ჭეშმარიტებაა.

**სოსო**. ამიტომ ჩემი წინადადებაა წკნელაძის თხოვნა უყურადღებოდ იქნას დატოვებული.

**ვასო**. რა კი მას ჯერ არ განუგრძია სწავლა, დიდი არაფერი დააკლდება თუ განგრძობასაც ვეღარ მოახერხებს.

**ბესო**. ბატონებო, გლეხი კაცის შვილისთვის გიმნაზიის დამთავრებაც დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენგან მას მეტი არაფერი მოეთხოვება.

**ხოსო**. მაშ გადაწყდა, გადადევით თხოვნა.

**ვასო**. რის თხოვნა, წარმოიდგინეთ, ამას თხოვნა არც კი აწერია! (კითხულობს).

მათ ბრწყინვალებას, კომისიას რომელმაც უნდა დაანაწილოს ფულები, რომელიც პატიოსანმა ივ. ზურმახტაძემ შესწირა ღარიბებს.

**თხოვნა**.

თქვენო ბრწყინვალებავ! მამა ჩემი, როსტომ მათრახაძე, პრისტავად იყო და ხალხმა უმტრო, რომელიც მოკლა. მე შარშან გავათავე ქალების გემნაზია და მინდა კიდო გავაგრძელო. ორი სახლი დარჩა მამა-ჩემს ქალაქში, მაგრამ ვალები აქვს და სარჩოს მოკლებული ვარ. მომეცით მე დახმარება, რომ შევიძლო მაცადინობა.

თამარა მათრახაძე.

**ხოსო**. ყოჩაღ ქალო! მე პირადათ არ ვიცნობ ბატონებო მთხოვნელს, მაგრამ მის შესახებ ისეთმა დამსახურებულმა კნეინამ მთხოვა, როგორიც ქ-ნი ქეთევანია.

**ბესო**. მეც მიქეს მისი ნიჭი! ღენერალ ფანტერი ბეგლარ ერისთავმა და არქიმანდრიტმა ტიმოთემ მთხოვეს: თუ შესაძლებელია ნუ დაუჭერთო.

**სოსო**. ალბათ ძლიერ ღარიბი იქნება. თორემ მართლაც არ შეიწუხებდენ თავს ამდენი პატივცემულნი პირნი. ჩვენმა მაზრის უფროსმა, ტარიელ კოიდახაძემ, საუცხოვოთ დამისურათა მისი ნიჭიერება და სილამაზე. მე სწორე გითხრა იმ აზრისა ვარ, რომ თუ ქალი ლამაზი არაა არ უნდა გავგზავნოთ უცხო ხალხში. ქართველი ქალის სილამაზე განთქმულია ქვეყანაზე და გაგზავნე ვინმე ჯოჯო. მათრახაძის ქალს ის უპირატესობაც აქვს, რომ ლამაზია.

**სისო**. მე თითონ ვიცნობ ბატონებო და წარმოიდგინეთ მთელი მაზრის თავად-აზნაურობა მთხოვნელია მას დახმარება მიეცეს. ბ-ნ მარშალს თითონ უნდოდა მობრძანება, მარა მე დამაბარა გაგიზიაროთ მისი თხოვნა.

**ყველანი ერთხმათ**. მიეცეს, მიეცეს.

**ვასო**. განაგრძობს. ბატონებო, აქ ვიღაც კატო მგალობელიძე გვთხოვს დავეხმაროთ მილანის კონსერვატორია დაასრულოს. სულ ცოტა უკლია, ორიოდ წელიწადი.

**ხოსო**. გაგიჟდით! რა დროს გალობაა ბატონებო! სიმღერა და მუზიკა ვისთვის რა საჭიროა? სწორეთ ვერ გამიგია. это роскошъ!

**ხოსო და ბესო**. ჭეშმარიტებაა!

**ვასო**. ქართველ ხალხს მუსიკალური გამოცდილება თავისიც საკმარისი აქვს და, სხვა ქვეყნებში სიარული არაფერი საჭიროა. აი ბატონებო, თავადი რევაზ ზვიადაძე შვიდი წელიწადია თურმე იღებს დახმარებას ჩვენგან და თხოულობს ერთი წლით განვუგრძოთ, რომ დაასრულოს დაწყებული საქმე.

**ხოსო**. ზვიადაძე ბატონებო ჩემი დის მაზლის შვილია, მაგრამ მე მგონია აღარ არის საჭირო მისი დახმარება. რასაკვირველია ეს არა იმიტომ, რომ შეძლება ჰქონდეს საკუთარი საშვალებით გაათაოს სწავლა; არა, ეს იმიტომ, რომ გიჟი ყმაწვილია, თავის დაჭერა არ იცის; ამბობენ ღვინოსა და ქალებში ატარებს მთელ დროსაო. მე არა მჯერა ყველაფერი, რასაც მასზე ამბობენ, მაგრამ მაინც წინააღმდეგი ვარ.

**ვასო**. რასა ბრძანებთ, ბატონო ხოსო! რა უყოთ ახალგაზრდა კაცი ღვინომ გაიტაცოს... (შეიქნება ფურჩული კომისიის წევრთა შორის.)

**ბესო.** მე ჩემის მხრით ვერ ჩაუთვლი დანაშაულათ ახალგაზრდა ჯან-ღონით ხავსე ქართველს ქალებისა და ღვინის აყოლას. ეს ერთობ ბუნებრივი მოვლენა არის.

**სისო.** რის დანაშაულიო, რას ამბობთ ბატონებო· დანაშაული ის იქნება, ჩვენ რომ ამას ყურადღება მივაქციოთ და ზვიადაძეს ვარი ვუთხრათ.

**სოსო.** მიკვირს რაზედ ვმსჯელობთ ამდენ ხანს. ჩვენ მოვალენი ვართ ყმაწვილს ათი წლის შრომა წყალში არ ჩაუყაროთ და შეძლება მივცეთ სწავლა დაამთავროს.

**ვასო.** მაშ ვუყაროთ კენჭი.

**ყველანი.** ვუყაროთ, ვუყაროთ... (ფარული კენჭის ყრით ითხი ხმის უმეტესობით გადასწყდა რევაზ ზვიადძეს მიეცეს სტიპენდია. ხოსო წინაღმდეგი იყო, როგორც ნათესავი).

კენჭის ყრის შემდეგ კვალად განაგრძეს თხოვნათა განხილვა, რომლებზედაც აღარაფერს ვიტყვი, რადგან მათი განმარტება მრავალგზით აღემატება ჩემს ძალ-ღონეს.

**ეშმაკი.**



მიწერ-მოწერა.

(წინსიტყვაობა)

ხუთი ივლისის მიზეზით,
(ბანკის ბალს კრივი რო იყო)
ქართველთა მოღვაწეები
ორ დიდ ბანაკათ გაიყო:
ზოგმა შეამკო ეგ „საქმე“
ზოგმა კი დაჰგმო, დასძრახა,
ზოგმა: „შერცხვესო“, ზოგმა კი,
„გაუმარჯოსო“ დასძახა.
იაკობი და ანტონი
ორი ტოტია მდინარის,
ამ „სასახელო“ საქმეზე
პრესაში ჩამომდინარის.

—

**პირველი უსტარი ანტონ ფურცელაძის მიერ ქრისტაფორესადმი მინაწერი.**



ძმაო ქრისტეფორ გრიგორიჩ,
ბანკისა ბალათ რებულო,
და ქართველ მკლავაძეთაგან
უმართლოთ გაწამებულო!!!
ვგლოვობ მე შენსა სიავეს
ცრემლნი დამდიან ღვართა,
იკმარე ჩემი კურცხალი
იმ ტანჯვის დასაფარათა,
რომელიც ქართველ რეგვენთა
შენ მოგაყენეს წყლანა,
შენ, ვინაც მრავალ საფრთხეთგან
დაიცევ ჩვენი ქვეყანა.
შენ, ვინაც ჩვენსა საქანქრეს
ბუხღალტერობდი წინათა...
ვინაც შენ ხელი შეგახო
თავი შეურცხვეს იმათა“.

—

**წაკითხვა იაკობის მიერ ამა უსტარისა.**



იაკობს ესე უსტარი
დილით მიართვეს სისხამა,
და მყის შეიპყრო მოხუცი
გულის წყრომამ და რისხვამა:
„როგორ თუ „ზუბრთა“ საქანქრე

ქრისტეფორს მიაწერესო,
და სხვა ქართველი მოღვაწე
რიყეზე გაგვიჩერესო.
მაგ ანტონ ფურცელაძესა
ვიცი რაც მოუხდებაო",
(მყის „დედა-ენის" შემქმნელი
მაგიდას მოუჯდებაო).

**უსტარი იაკობისა ანტონისა მიმართ მინაწერი.**



ჰე, ანტონო ფურცელაძევ,
შე მამულის უღირს შვილო:
ამგვარსა და იმგვარებში
ათასნაირ გამოცდილო!
ეგ რა უქენ საქართველოს?
რათ დაასვე დანა გულში,
რისთვის გინდა სომხის ხალხი,
ბატონობდეს ჩვენს მამულში?!
ვის ღვაწლსა და მომჭირნებას
მიაწერე ბანკი ჩვენი?..
სწორეთ უნდა დაიდაღო
ამ სიავის გამომფენი!..
(დასწერა და გაუგზავნა
ათას წილათ უფრო გრძელი
რადგან ამგვარ წერილებში
დაცდილი აქვს მოხუცს ხელი).

**მიღება ანტონის მიერ ამა უსტარისა.**



მიიღებს ანტონ უსტარსა
იაკობისა ნაწერსა,
რუსული ანბნეულობით
აფერადებულ ნაჭერსა,
და გაოცდება... გარნაღა
არ იყო განსაკვირები?
ესდენ რეგვნულსა მისწერდენ
პატივცემულნი პირები...
ჩაიცინა და განივლო
გულს ესე მცირე ზრახვანი:
„არ გასჭრის იაკობისა
ბაქი-ბუქი და ფახვანი".

**მეორე უსტარი ანტონისა იაკობის მიმართ მინაწერი.**



გოგებაშვილო იაკობ
ქართველთა მწიგნობაროო,
„დედაენ"-„ბუნების-კარის"
დაუშრეტელო წყაროო!
რა ვქენი ეგრე საწყენი
ქვეყნისთვის საანგაროო—
ვთქვი: „მუშტი მოკეთისაწილ
არ უნდა მოიხმაროო".
შენ ალბათ ველარ გაიგე,
რადგან გისუსტა ძალამო;
მწყენია შოვინისტურსა
კუდს ძველებრ ველარ მალამო.
რამ გაგაცხარა ყმაწვილო,
რა ღობე-ყორეს წვდებიო,
ბევრიც იბაქო: მდევ-კაცათ
აწ ველარ გამოჩნდებიო.
კარგი ხარ პედაგოგათა,
ტოლი არ გიჩანს არსადო
მაგრამ თუ „ჩელსებს გადასცდი"
არ ღირღარ კიტრის ფასადო.
პუბლიცისტ-პოლემიკაში
მუდამ მარცხს განიცდიდიო,
თუმცაღა უკანასკნელის
მოყვარული ხარ დიდიო.

—

**წაკითხვა იაკობის მიერ ამა უსტარისა.**



ჯოჯოხეთური დილაა,
ჯერ კარგათ გაუთენები...
აქა-იქ, ცისა კიდურზე
ვითარცა ცეცხლის ენები
ელვანი იკლაკნებიან...
გრიალებს ზეცა პირ-შავი,
ხალხი კითხულობს: რა მოხდა?
რა ამბავია ნეტავი?“
ვინ იფიქრებდა იაკობ
იყო მიზეზი ამისა,
პირქუშოვანი ტაროსის
და საშინელის ჟამისა?!!
თურმე მას, დილა ადრიან
სალებავ შეუშრობელი,
მიართვეს იგი უსტარი
ზემოთ აღვნიშნეთ რომელი.
ერთობ განრისხდა მოხუცი
მნახველი ამა უსტარის,
და ფაფარ წამონაყარი
პასუხსა მწვავეს უჩქარის.
მოჰყარა საწერ-კალამი,
რაც ახლო მოეძეოდა,
ქაღალდიც ყსდენ მოიწყო
რაოდენს მოერეოდა.
და გალესილი, ალმასი
დაჯდა პასუხის წერადა,
გაჰკრა და გაჰკრა, ქაღალდი
ააჭრელ-ააფერადა.

—

**პასუხის პასუხი იაკობისა ანტონისა წილ. მინაწერი.**



ძმაო ანტონ! წავიკითხე
წიგნი შენი მონაწერი,
და ვერ მივხვდი: რათ გგონივარ
მე სომეხი ხალხის მტერი.
მე არ ვიყავ, ვაქე ერთხელ
დიდებული სომხის ბერი,
ხრიმიანად წოდებული
ნასწავლი და სპეტაკ წვერი?
მე არ ვიყავ, იმავ ხალხსა
კარგ მომავალს ვუქადიდი,
მათი საქმის წარმატების
სურვილიცა მქონდა დიდი?
შენი აზრით პოლემიკას
მუდამ მარცხით ვათავებდი,
თითქო ჟინით განბერილი
მხოლოდ ქაღალდს ვაშავებდი,
მაგრამ ცდები: მე არ ვიყავ,
რომ დავსცარე ნაჩალნიკი
აფხაზეთის საქმეებზე
როცა გვქონდა პოლემიკი?
მე არ ვიყავ, რომელზედაც
ნიკოლაძე? სთქვა სხვებთანა:
„კამეჩიც ვერ გაუძლებდა,
რაც მან ჩემგან აიტანა“?
მე არ ვიყავ, ხანგრძლივ წერით
რომ შევყარე ფათერაკი,
და თანხმობით გავათავე
აკაკისთან ლაპარაკი?
მე არ ვიყავ, რო დავსცარე
(თუმცა აქაც ვწერე გძელი)
მაჩაბელთან მოჩხუბარი
„კვალის“ მამა წერეთელი?
მე არ ვიყავ?... მაგრამ მითხარ

რომელი ვთქვა და დავწერო,
რომ იმისი სიდიადით
მკითხველი არ გავაშტერო?
შენ კი რა ხარ? უსწავლელი,
უნიჭო და მეტიჩარა
მე კიდევაც დამავიწყდა
როდის მოგასესხე ფარა.
გთხოვ, ახლავე დააბრუნო
სარგებლიან, თავნიანა,
დიდი თანხა მოგროვდება
რაკი ასე იგვიანა.
შენ მეტი გაქვს ჯამაგირი,
ორჯერ მეტი, ვიდრე მენა,
ანკი როგორ გამამდიდრებს,
„კუნწულა“ და „დედა-ენა“!!!
შენ მტერი ხარ ჰავჰავაძის,
მის ფონდს ფულებს არ ეწევი...
მიკვირს რატომ მწიგნობარობ
და შენს ტყავში არ ეტევი?“
  კიდევ ბევრი რამ დასწერა
იაკობმა ამის გვარი,
და ქაღალდზე ააყენა
ცოდვისა და მელნის ღვარი,
მაგრამ ყველა არ ითქმება
(ავნებს ხორცსა, მერმე სულსა)
მიკვირს როგორ დაემართა
გონებით და აზრით სრულსა.
ალბათ ანტონ ემზადება,
ამ წერილის საპასუხოთ,
და თუ იგიც დაიბექდა
აღარ ვიცი, რაღა ვუყოთ.

—კი.

---

# კალმისთვის წამებული.

ტრაგი—კომედია ერთ მოქმედებათ.

### მოქმედნი პირნი:

**ბიძინა ფირფიტაძე.**—ახალგაზრდა ყმაწვილი, ლიტერატორი.

**ანუსია.**—ბიძინას ბებია

**სოლომონა**—მოსამსახურე ბიჭი.

### მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს ბიძინას ოთახს. ოთახის მორთულობა ღარიბულია. შუა ალაგას კედელთან სდხას ხალიჩა გადაფარებული ხის ტახტი. ტახტის წინ ოთხ კუთხი სამწერლო მაგიდა. ზედ წიგნები და ქაღალდები ერთმანეთში არეული ყრია. ერთ კუთხეში სდგას წიგნების დასაწყობი. ზედ რამდენიმე წიგნი ალაგია. მარჯვნით კუთხეში განჯინა. კედელთან რამდენიმე სკამია. ოთახს ორი კარები აქვს.)

### გამოსვლა პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა და ანუსია.

**ბიძინა.**—(ახალგაზდა, 20—25 წლის კაცი, გამხდარი. თმა შუაზე გადავარცხნილი აქვს. წვერ მოპარსული. ტანზე შავი, მოძველო კოსტიუმი აცვია. მაღალი კრახმალიანი საყელო. ყველაფერში ძალდატანება ეტყობა· უნდა ყველას ცნობილ მოღვაწეთ აჩვენოს თავი. ღალსტუკს ხშირათ ისწორებს. ლაპარაკობს დინჯათ, ახირებულათ არ გაიცინებს. თავზე ხელი შემოუდგამს, ხელში კალამი უჭირავს და ღრმათ ჩაფიქრებული მაგიდასთან ზის· წინ ქაღალდი უძევს და რაღაცას სწერს. ერთ კუთხეში იატაკზე ზის ანუსია, თვალებზე სათვალეები წამოუსკუპებია და წინდას ქსოვს. ცოტა ხნის შემდეგ თავს აიღებს, კალამს გადასდებს, თმებზე ხელს გადისვამს, ღალსტუკს გაისწორებს და ამოოხვრით) არ იქნა, არაფერი არ გამოდის. (ჩაფიქრდება თავს გააქანებს) სწორეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარ. არ ვიცი რა გზას დავადგე. მაქვს ნიჭი! მაქვს ტალანტი! მაშ სად უნდა ჩაკვდეს ჩემი ტალანტი, ისე რომ არ გამოვიჩინო. უბრალო კორექტორათ შევედი. აქ ჩემმა ნიჭმა იმდენათ ფრთა გაშალა, რომ ცოტა ხნის შემდეგ რედაქციაში შევცოცდი და თანამშრომელი გავხდი. შევისწავლე ენა, ვსწერ, ვთარგმნი, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებს. ჩემთვის საჭირო განსაზღვრული რამ. აუცილებლათ ლიტერატურის ერთ რომელიმე დარგს უნდა ჩავჭიდო ხელი, რომ ბოლოს ცნობილი გავხდე. მე თან და თანობის ზრდა განვითარების პრინციპის მომხრე ვარ, ამიტომ საჭიროა ჯერ ცოტადან დავიწყო და შემდეგ ჩემი ნიჭი თვითონ ჩადგება ერთ კალაპოტში. თან და თან გამოჩნდება, თუ რომელი დარგისთვის გამოვდგები. საჭიროა მხოლოდ ერთ გზაზე დადგომა. პოეტობა? ჯერ ადრეა. პუბლიცისტობა? ესეც ადრეა. მაშ საიდან დავიწყო? (ჩაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ) ჰაა! დიახ, სწორეთ კარგი აზრია ჯერ-ჯერობით ვსწერ რეცენზიებს. თეატრშიც ვივლი და რეცენზიებსაც ვსწერ, აქედან აშკარა შეიქნება თუ რის ნიჭი უფრო მაქვს. რა სახეს მიიღებს ჩემი რეცენზიები. შემთხვევაც სწორეთ ეხლა მაქვს. გუშინ ჩვენ თეატრში იოამაშეს ახალი პიესა „მეგობრობა“ მოდი დავსწერ რეცენზიას. (ღრმათ ჩაფიქრდება)

**ანუსია.**—(წინდას ქსოვას თავს დაანებებს და სათვალეებს ზემოდამ გადმოხედავს) შვილო! ვახშმის ჭამის დრო არ არის?

**ბიძინა.**—(გაჯავრებით) ნუ მიშლით ბები რა დროს ვახშამია, ვერ მხედევ საქმეში ვარ?

**ანუსია.**—(წყენით) რა გაჯავრებს შვილო, რა არის სულ წერ და წერ. მოისვენე ერთი გენაცვალოს ბებია

**ბიძ.** (გაჯავრებული წამოდგება გაივლ-გამოივლის) აი გაგიწყრა ჩემი გამჩენი! მოდი ეხლა და ამის ხელში რამე გააკეთე. წინდის ქსოვის და ჭამის მეტი არაფერი ახსოვს (ანუსიას) ბებია! თუ გეძინება ივახშმე შენ და დაწექი, თუ არა და ქსოვე წინდა. როცა საქმეს მოვრჩები ვივახშმოთ. (მიუჯდება მაგიდას, საწერ-კალამს აიღებს და ჩაფიქრდება).

**ანუსია.**—(განაგრძობს წინდას ქსოვას) კარგი შვილო, შენი ნებაა.

**ბიძ.**—დიახ! ჯერ რეცენზიებიდან დავიწყებ, ვსცდი ჩემს ლიტერატურულ ნიჭს და მერე ზევით შევყვები. უპირველეს ყოვლისა რეცენზენტის ვალია რაც შეიძლება მეტი ილანძღოს, რაც უნდა კარგად ითამაშონ არტისტებმა უსათუოდ უნდა გაილანძღოს ყველა. პიესა აუცილებლათ უნდა დაიწუნოს რეცენზენტმა. აი ეს დაედება საფუძვლად ჩემს რეცენზიებს. აბა სახელითა მაძისათა. (წერს და თან კითხულობს) „კვირას, 4 ივნისს, ქართულ თეატრში ითამაშეს ახალი პიესა „მეგობრობა“ პიესის სინაარსის განხილვას ქვემოთ შეუდგები. ეხლა შევეხები არტისტთა თამაშს“. (შეჩერდება და ლაპარაკობს) აი სწორეთ ეხლა გამოჩნდება ჩემი ნიჭი. თუ ღირსეულათ დავაფასე არტისტების თამაში, საზოგადოების ყურადღებას მივიპყრობ. (ღრმათ ჩაფიქრდება). რეცენზენტის მთავარი ღირსებაა კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს არტისტები, ამისთვის საჭიროა მათი მაგრათ გალანძღვა. რაც უნდა კარგათ ითამაშოს არტისტმა მისი გალანძღვა აუცილებლათ საჭიროა. დიახ! და მეც ეს უნდა დავისახო მთავარ მიზნათ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მათი გამოფხიზლება. მაშ თუ მოვდექი და ვაქე, ასე იტყვიან კრიტიკის ნიჭი არ ქონია ჩვენ რეცენზენტსო. (ანუსიას) ასე არ არის ბებია?

**ანუს.**—(სათვალეებს ზემოდან გადმოხედავს) რა, შვილო, ვახშმის დრო არის?

**ბიძ.**—(გაჯავრებით) ვახშამი კი არა ის არ გინდა! შენ სულ ვახშამი გბოდებს. რეცენზენტმა თუ არ ლანძღა არტისტები, ხომ საზოგადოება არ მოიწონებს?

**ანუს.**—რომელი რეცეპტი შვილო? იმ დღეს რომ მოგცა ექიმმა? აი იქ არის მაგიდის უჯრაში, გენაცვალოს ბებია.

**ბიძ.**—რას ბოდავ რის რეცეპტი, რა რეცეპტი! რეცენზენტი! რეცენზენტი! გესმის?

**ან.**—(წყენით) რა გაყვირებს შვილო, რა ამბავია. ვინ ბრძანდება შვილო, ეგ რეცენზენტი?

**ბიძ.**—(გულმოსული) ვინ ბრძანდება და მე, მე! კარგი ერთი თავი დამანებე!

**ან.**—(წყენით) რა გაჯავრებს, შვილო.

**ბიძ.**—(ბრაზიანათ) კარგი, ბებია, თავი დამანებე ნუ მიშლი.

**ანუს.**—(განაგრძობს წინდის ქსოვას) კარგი, შვილო, ნუ ჯავრობ.

**ბიძ.**—(ჩაფიქრდება. ცოტა ხნის შემდეგ) დიახ, აუცილებლათ საჭიროა მეტი ლანძღვა არტისტების, აბა, ვინ უნდა გავლანძღო? (ფიქრობს) თითქმის ყველანი კარგათ თამაშოდენ. (ფიქრობს) ვინ გავლანძლო? (ცოტა ფიქრის შემდეგ) ჰაა! მომაგონდა! გუნია. რასაკვირველია გუნია. აბა რაღა რეცენზენტი ვიქნები თუ გუნია არ გავლანძლე. გაგონილა? გუნია აუცილებლათ უნდა გაილანძლოს, ამას მოითხოვს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური მოსაზრება. დიახ, გუნია უნდა გალანძლოს. (ჩაფიქრდება) აბა როგორ დავსწერო? (ჩაფიქრდება) ჰა, მომაგონდა! როლი, (სწერს და თან კითხულობს) არას ვიტყვი სხვა არტისტებზე, მხოლოდ გუნიას თამაში კი არ შემიძლია დავფარო, სხვას რომ თავი დავანებოთ როლი მაინც უნდა შეესწავლა. როლმა..

**ანუსია**—(გააწყვეტინებს) თვალებს რატომ იფუჭებ. კარგი თავი დაანებე, ვახშმის დრო არის.

**ბიძ.**—(გაბრაზებით) რას ჩამაცივდი, არ მინდა ის შენი ვახშამი და ვერ გიგე? (განაგრძობს წერას) „გუნია... (შემოდის მოსამსახურე ბიჭი)

**სოლომ.**—ბატონო, ვახშამი მზათ გახლავთ.

**ბიძ.**—(წამოვარდება გაბრაზებული) დაიკარგე აქედან შენ და შენი ვახშამი (სოლომონა შეშინებული გარბის. განაგრძობს წერას) არ იცოდა“ (კითხულობს თავიდან) „არას ვიტყვი სხვა არტისტებზე მხოლოდ გუნიას თამაში კი არ შემიძლია დავფარო. სხვას რომ თავი დავანებოთ როლი მაინც უნდა შეესწავლა. როლმა გუნია არ იცოდა.“ (გაშტერდება) ეს რა დამიწერია, როლმა გუნია არ იცოდა, თუ გუნიამ როლი არ იცოდა?! (გაბრაზებული გააფურთხებს) ფუი! დასწყევლოს ღმერთმა! (წამოდგება და დადის)

**ან.**—რა იყო, შვილო, რა მოგივიდა?

**ბიძ.**—(გაბრაზებული) ის მომივიდა, რომ თქვენ ხელში ჭკუასაც დაკარგავს კაცი და გონებასაც. (ყვირის) გამიჭირეთ საქმე თქვენი ვახშამით და ისეთი რამე დავსწერე, რომ თავი მომეჭრებოდა რომ სტამბაში მისულიყო. (მიდის მაგიდასთან დაჯდება და ასწორებს) დანარჩენ არტისტებზე რა დავწერო? (ჩაფიქრდება წერს და კითხულობს) „დანარჩენი არტისტები კარგები იყვენ. კარგი იყო მსუფლიორიც. ყველაზე მეტათ მომეწონა მოსამსახურე ბიჭი, ისე წყნარათ გამოდიოდა სცენაზე, რომ ერთი კრინტი

არ დაუძრავს, რადგან სალაპარაკო არაფერი ქონდა. ყველაფერი ეს ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა დამსწრე საზოგადოებაზე. (ფიქრობს) ეხლა ორიოდე სიტყვა პიესის ღირსება ნაკლულოვანებაზე. „პიესის დედა აზრი სიყვარულია. სიყვარულზე ბევრი ტქმულა და დაწერილა; ამიტომ არას ვიტყვი თუმცა შემეძლო ბევრი რამ ამომეწერა კოგანის ლიტერატურის ისტორიიდან, მაგრამ ვისაც სურს, იქაც წაიკითხავს. შევეხები მხოლოდ ერთ საკითხს; რომელზედაც ჯერ არაფერი დაწერილა“ (ფიქრის შემდეგ ამბობს) აი სწორეთ აქ უნდა გამოვიჩინო ჩემი ნიჭი; აქ საჭიროა ნამდვილი ფილოსოფიურ, ღრმა სიტყვებით დასურათხატება იმ მწვავე კითხვის, რომელიც ჯერ არვის გამოურკვევია. (ჩაფიქრდება. სწერს და თან კითხულობს) „ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პიესის ერთმა ადგილმა. უკანასკნელ მოქმედებაში თავის ოჯახში ბრუნდება როგორც წუწკალი ძაღლი... (შეჩერდება და ფიქრის შემდეგ ამბობს) აბა, ეს არ შეიძლება, სიტყვა ძაღლი ძალიან მაგარი სიტყვაა, ეს სიტყვა არც ერთ ფილოსოფოსს არ უხმარია. უნდა შევსცვალო სხვა სიტყვით ეგ უზრდელობა იქნება. (ფიქრობს, ანუსიას) ბებია!

**ანუს.**—რა იყო შვილო?

**ბიძ.**—შეიძლება ლიტერატურაში კაცმა იხმაროს სიტყვა ძაღლი?

**ანუს.**—ძაღლი? სად არის შვილო ძაღლი? (წამოდგება და ტახტ-ქვეშ იხედება) აქ არ არის ძაღლი?

**ბიძ.**—(ბრაზი მოსდის) რას ბოდავ თუ იცი? რის ძაღლი, რა **ძაღლი**! აქ თუ შეიძლება ძაღლი **აქ** (რვეულზე არტყამს ხელს)

**ან.**—(პირჯვარს იწერს) რას ამბობ შვილო! პირჯვარი დაიწერე ღმერთო შენ მომხედე (შემოდის მოსამსახურე ბიჭი)

**ბიძ.**—(მივარდება და უყვირის) სოლომონავ! შეიძლება ლიტერატურაში ძაღლი იყოს?

**სოლომონა**— (გაშტერებული იყურება აქეთ იქით) რას ამბობს, ბატონო, აბა აქ ძაღლს რა უნდა (ტახტქვეშ შეხედავს) არც აქ არის

**ბიძ.**—(მივარდება და ანჯღრევს) რას როტავ, რას! რის ძაღლი რა ძაღლი!

**სოლ.**—(უნდა გაეშვებინოს) ის **ძაღლი** რომელსაც თქვენ ამბობთ.

**ბიძ.**—(მიიყვანს მაგიდასთან, მიიტანს რვეულს მის ცხვირთან და გაჯავრებული არტყამს ხელს) აი აქ, აი აქ. შეიძლება აქ ძაღლი იყოს?

**სოლომ.**—(სიცილი აუტყდება) რას მემასხრებით, ბატონო, ამ ერთი ნაწეკვა ქაღალდზე ძაღლი კი არა ახალ დაბადებული ლეკვი არ დაეტევა; რა უნდა მაქ ძაღლს? ძაღლი რომ იყოს ხომ დაინახავდით? (იცინის)

**ბიძ.**—(წაუჯიკავებს და გააგდებს) არაფერი არ იცით თქვენ არაფერი. აბა რა გესმით ლიტერატურის არა ასე შეუძლებელია: ეს მასხარობა იქნება. ამის გაზეთში გაშვება არ შეიძლება. (აილებს ქაღალდებს, ხევს და ყრის) ასე. მოდი ვახშამს ვჭამ იქნებ ლექსის მუზა მომივიდეს: (ანუსიას ხელს მოკიდებს) ადექ! გავიჭივრეთ საქმე. ვჭამოთ რაღაც ვახშამია (ანუსია და ბიძინა გადიან.)

(შემდეგი იქნება)

**ირეთელი.**

---

## ზ ღ ვ ა.

(პოემიდან „ცირა“.)

ზღვასა შეხედეთ, შავ ზღვასა,
როცა ტალღები დგებიან,
ფაფარ-აშლილნი მრისხანეთ
ნაპირებს ეხეთქებიან,
შხუილით უკან გარბიან,
სხვა ტალღებს უერთდებიან
და საბრძოლველათ, ვით მტრის წინ,
ხელ-ახლა ირაზმებიან.
აქოთებული შავი ზღვა
ჰქუხს, ღელავს, იბრძვის მწარეთა:
ხან შავგულ მიაქვს გემები,
ხან ერეკება გარეთა;
ნაფოტათ გიქცევს ნავთ-ჰურჭელთ,
დაგაგდებს მგლოვიარეთა,
არვის დაგინდობს ზვიადი—
მოშორდით, მოეცალეთა!
მაგრამ შეხედეთ იმავ ზღვას,
როს ქარიშხალი ჩადგება
და სხივი ოქროს გვირგვინათ
მაღლიდან წამოადგება!
პირ-დაბანილი ბუნება
მასშიგან იწყობს კრთომასა,
აღარ დაგიდევს გუშინდელ
ცისა და ქვეყნის წყრომასა!
დამშვიდებულა შავი ზღვა,
სარკის გული გაულია
აქ გემები მიმოცურვენ,
იქ მეთევზის ბადე გდია,—
სამსახურს უწევს სუყველას,
თევზებს სძღვნობს, ვითა ნათლია
და ვინ იცის, რამდენ საწყალს
მისით ხელი მოუთბია.
სწორედ ზღვაა ხალხის გულიც,
დროზე რისხვის გამომჩენი,
მაგრამ ხან კი სიკეთის და
უხვი გრძნობის სხივთ მომფენი.
დათიკას ქვრივსა და ობოლს
არ დაივიწყებს სოფელი,—
ხალხია ბეჩავთ ნუგეში,
მისი კეთილის მყოფელი.

**ფ. რუშაველი.**



# წერილები ეშმაკისადმი

## მოხსენება ხონიდან.

ძმაო ეშმაკო! შენ კარგათ იცი ჩემი ამბავი, როგორ დავდივარ ერთი ქალაქიდან მეორეში, სოფლიდან სოფელში. ამ დღეებში შემთხვევით შემხდა ხონში ჩასვლა. მაგრამ სანამ ხონის ამბავს მოგიყვებოდე, მეტი არ იქნება მოგითხრო ქუთაისიდან ხონამდე ნახული. ქუთაისიდან, რასაკვირველია, სიცხემ გამდევნა. იქნებოდა დღის ორი საათი, რომ ს. გუბს მივედით დილიჟნით იქ მივიხედ მოვიხედე, რადგანაც გამეგონა ლობე-ყორეზე ლ—ს წერილებიაო. მართლაც არ მოვსტყუვდი. გავიხედე და დავინახე ლობეზე თეთრი კონვერტი მე ფრთხილათ ლობეს დაუახლოვდი და წერილი ამოვიღე, გავხსენი და შემდეგი ეწერა: „ვინც მე გაზეთში გამლანძღა მას ჩემ გაზეთში თავს მოვსჭრიო“. მშვენიერი აზრია, მაგრამ ეს კი ფაქტი უნდა იყვეს, რომ ლ—ს ნერვები აქვს აშლილი და უთუოდ მის მოსარჯულებლათ სპერმატინი დაგჭირდება. გუბიდან გამოვსწიეთ და ის ის იყო უნდა გავსწორებოდით მიხაკო მებუკის სახლს, რომ ყვირილი მომესმა, მიხაკოს მოჯამაგირე გაელახა იმისთვის, რომ მას ნამსახური ფული მოეთხოვა. მიხაკოს სახლში შეექვანა ბიჭი და იქ მიებეგვა; აბა გარეთ ხომ შეხედავდა ვინმე და ჭიათურის არ იყვეს, გაამათრახებდა, მაგრამ ვაი, რომ ახლაც არ დაგვემალა. საღამო ხანს ვესტუმრე ხონს. გადავსწყვიტე, პირველათ სამკითხველოში შევსულიყავ და კიდევაც შევედი. დავჯექ სკამზე, მარა რა ვიცოდი თუ იქ ლამპა ეკიდა, რომლიდანაც თურმე დღეში ორი ფუთი ნავთი მოწვეთავს. მე არაფერი შემიმჩნევია და ნავთს კი ჩემთვის მთლათ დაელბო ქუდი; ამ დროს ვიღაცის ხმა მომესმა: „სოციალიზმი დავწვიო“ მე განცვიფრებაში მოვედი და შეშინებული გარეთ გამოვარდი. ცოტა გავიარე თუ არა, იმისთანა ხმები მომესმა, იძულებული ვიყავი გავჩერებულიყავ. ვიკითხე ყვირილის მიზეზი და მითხრეს, რომ ეს ანდრო ბაქრაძის წიგნის მაღაზიაა, დღეს სამჯერ ქონდა ნოქრებთან სამედიატორო სასამართლოო. ცოტა კიდევ და შეიქნა მუშტის ტრიალი. ცოტა გავიარე და მივეწიე ქალაქის ბაღისკენ შევხედე ვიღაცა ორ სტუდენტს მეეტლე გადმოეტრიალებიათ და ლაზათიანათ სცემდენ. ვიფიქრე ეს ოხერი, ხონში რა პლანის ხალხი ყოფილა ეს შვეიცარია კი არა, ბარბაროსების ქალაქი ყოფილათქო. როგორც იყო ამ უბედურებასაც მოვშორდი და შევედი ქალაქის ბაღში. ვიფიქრე აქ ცოტას მოვისვენებ და შემდეგ სადმე სასტუმროს მოვძებნითქო. ბაღიდან ბაზრისკენ შევყევი, მაგრამ კიდევ უბედურება, კიდევ ხიფათი, ორ ნოქარს ვიღაცა დაეჭირათ და „ცხეთურ-ცხეთურის“ ძახილით, აყვირებდენ როგორც ავლაბრის სახედარი. მე შემეშინდა, რადგანაც ერთმა ჩემსკენ გამოაყოლა თვალი. აქაურობასაც მოვშორდი, მაგრამ კიდევ ხიფათი, აგერ ხონის ვაჭრებს რვა საჟენ ნახევრიანი ნარდი დაედვათ წინ, ოთხი ვაჭარი ზედ დაესვათ და არხეინათ მიათრ-მოათრევდენ ნარდის ქვებს. გადავწყვიტე თეატრში შევსულიყავ რადგანაც იმ ღამეს ერთი ყმაწვილი ლექციას კითხულობდა. ცოტა ხნის ცდის შემდეგ აიწია ფარდა და დავინახე ოთხი თვალი. დაიწყო ლექტორმა, მარა ძმაო ეშმაკო, რომ გეყურებია მაშინვე იტყოდი შენ რომ იცი მაგისთანებიზა „არა შეჯდა მწყერი ხეზე არა იყო გვარი მისი“-ო. ვფიცავ მთელ ჯოჯოხეთს, რომ მაგისთანა ნანინა დედაჩემს არ უთქვამს ჩემთვის პატარაობისას. როგორც იყო გადაურჩი ლექციას და გავედი გარეთ. ვაჭრების ერთ ჯგუფს თავი მოეყარა და ცისკენ მიეპყრათ თვალები. ვიკითხე მიზეზი და მითხრეს, რომ ესენი ციაგ მარსს დაეძებენ, რომელიც ხონში უნდა ჩამოვარდესო. გამეცინა, მა რა ხალხი და გამომკვლევები ყოფილანთქვა. ცოტა გავიარე და ერთ იმისთანა კაცს შევხვთი, რომ არასოდეს არ მინახავს. ულვაშები ქონდა, მარა, რა ულვაშები, ასე ეშმაკო შენი მათრახის კუდის სიგრძე იყო. ვიკითხე იმ კაცის ვინაობა და მითხრეს, რომ ის იასონ მოსესძე ლორლოძე არისო, რომელიც თურმე ქუთაისში „ზინგერის“ გამგეთ ყოფილა. აქ კი იმ მიზნით ჩამოსულა რომ ხონის რაიონი სამოცდა ოთხ ნაწილათ გაყ-ს. იმ ისონმა ერთი ისეთი ჩაახველა, რომ მე ერთ არშინზე ზევით შევხტი. ის იყო ს. კუხისკენ ჩემ ერთ ნაცნობ-

თან მინდოდა წასვლა, რომ ვიღაცამ მომიქიჩავა მე მივიხედე და დავინახე ვიღაც ახალ-გაზრდა. „შენ ძამია ვიღაც ხარ ახალ ჩამოსული უნდა იყო და ამისთვის გირჩევ თუ უპასპორტო ხარ, სადმე წახვიდე, თორემ ეს ხონია, რაიმე ხრიკებს მოგდებენო“. გამაცივა, რვა წლის ვადაზე გადასული პასპორტი მქონდა. ვიფიქრე ისევ მანთხოჯში წავალ, თორემ კუზში ხარიტონა არ დამაყენებსთქო. მივედი სადაც მანთხოჯის გზა იწყება, მაგრამ თურმე ნავი ყოფილა საჭირო, რადგანაც ქუჩებზე ორი არშინის სიღრმე წყალი სდგას. ეხლა კი გზა შემეკრა და ივანდიდის ტყეებში ვიმილები. ძმაო ეშმაკო! ვაპირებ ან მანთხოჯისკენ წავიდე ან სამტრედიისკენ, მაგრამ ორთავესკენ ნავია საჭირო.

**პროლეტარი ეშმაკი.**

—

## მოხსენება დასავლეთ გურიიდან.

ძმაო ეშმაკო! შეუდექი, ჩემდამო რწმუნებულ, საბლაღოჩინოს რევიზიას, პირველად სოფელს „ეკზეკუციონში“, ძველათ ჯურუყვეთში, გიახელი. ვაჟბატონი “ეგზეკუცია“ ჯერ არ იძვრის. ვიკითხე მიზეზი და მითხრეს ერმილე ეპატიჟება ას ორმოცი უნდა გადაიხადოს და მანამდის არ უშვებსო, გულმა არ მომითმინა და ერმილეს გავკარი მათრახი, ერთი კი შეიყვირა „არ შეცდე ვინცხა ხარ მე აზნაური ვარ მათრახი გლეხებიზაა გამოგონილიო“. მაგრამ მე უკვე წამოსული ვიყავი, აქედან ჯუმათის სადგურზე გამოვედი, ბაგაჟნი განყოფილებასთან ხალხი ირეოდა და ყველა ცდილობდა ადრე მიეცა თავისი ბაგაჟი, ბაგაჟის სადგურის უფროსის თანაშემწე ი. ზუმბულიძე ღებულობდა, ბ-ნმა ილიკომ იმას გარდა რომ ბაგაჟის ფული აიღო, ყველას თითო ნივთი დაატოვებინა, ვიკითხე: ეს კაცი მებატონე არის, თუ რატომ იტოვებს ამას მეთქი? არა ბატონო ტეტია გლეხია გაკაკარდოსნებული, მაგრამ ასეთი ჩვეულება აქვსო. დარეკეს ზარი და ილიკო ახლა სამგზავრო ბილეთების გაყიდვას შეუდგა, ყველა ეს ხალხი ბილეთის კასას მიაწყდა „ხურდა არ მაქვს ხურდაო“ გაისმოდა ილიკოს მჭექარე ხმა. ზედმეტი წეილე ბატონო მხოლოდ „მაშინაზე“ არ დამტოვოო ეხვეწებოდა ხალხი, ამ რიგათ მან თითოეულ ბილეთზე ზოგს შაური და ზოგს მეტი „ლიშნი“ გადაახდევინა, გამოსაცდელათ მეც ევიღე ბილეთი და რვა კაპეიკი მეტი გადამაშვლეჭია, არ მეჭაშნიკა ეს და ერთი სამხელ ვუცხუნე ჩემი მათრახი ბ-ნ ილიკოს ბეჭის თავებში, მაგრამ ეს მისთვის ცოტაა და იმედია დიდო ეშმაკო შენც შენებურათ გაუმასპინძლდები.

სუფსიდან ჩოჩხათში წავედი. მივადექი სოფლის კანცელარიის კარებს, რომელზედაც შემდეგი განცხადება იყო მიკრული: „ვინც უსაქმოთ შემოვა შიგ რაიმე იარაღით ჩემი სტრაჟნიკები ესვრიან თოფს და მოკლავენო“, დავიხურე უჩინმაჩინის ქუდი, გევირჭვე ჩემი მათრახი წელში, შევაღე კარები და ერთ კუთხეში მივეგდე. კანცელარიაში იჯდა ფეხ მოკეცილი თათარი, მწერალი და ერთი სტრაჟნიკი, რიგრიგობით შემოყავდათ მთხოვნელები, შემოვიდა ერთი და უთხრა ბ-ნო მამასახლისო გთხოვთ, ამელამ ვახშმათ მეწვიოთო. გმადლობთ, კოწია, გიახლებიო უპასუხა მან. შემოვიდა მეორე. შენ კავაძე ხარ? ხო ბატონო ადგა მამასახლისი ერთი იქით გაარტყა, ერთი აქეთ სილა ყბაში, და როდესაც საბრალო კავაძე გონს მოვიდა და მიზეზი იკითხა „ნაომბახში“ გაისტუმრა. შემოვიდა მესამე, შენ ბრეგვაძე ხარ? კი ბატონოვო. ვერ მოასწრო და უცხუნა და უცხუნა მათრახი რატომ პირველ დაბარებაზე არ მოდიო, მასაც ნაომბახში უკრეს თავი. შემოვიდა მეხუთე და უთხა შენ რო იცი ბ-ნო იგი მოვიყვანეო, წამოვარდა მამასახლისი ყოჩაღ ბერიძეო და წასასვლელად მოემზადა, ადგა თუ არა ვიძვრე ჩემი მათრახი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვუცხუნე და ვუცხუნე ბ-ნ „ეფენდის“. დაყლიპა თვალები და რომ ვერაფერი დაინახა იყვირა ვინცხა ხარ მამაცხონებული მათრახის ცემა ღმერთმა შეგარგოს ჰო მხოლოდ „გამოსარჩენი“ რომ ევიღე არ გამამჟღავნოვო.

**კასიო.**

—

**ქვიშხეთის საზოგადოება.** თავ. გ. ამილახვარი მწარეთ დაღონებულია მისი ერთგული დამცველის,—გ. ამირაჯიბის დაპატიმრების გამო, რადგან აღარ იცის ახლა, ვის მიანდოს ვექილობა...*)

თ. ამირაჯიბი და მისი გაზ. „ზაკავკაზიე“ ამილახვარისთვის მით ფურო საჭირო იყო ახლა, რომ უკანასკნელმა განიზრახა, გადაახდევინოს გლეხებს ბაჟი ოცი წლის წინეთ აშენებულ სახლებზედაც კი, რის გამო, ვფიქრობთ, რომ უსათუოთ გაიკრავს, ძმაო ეშმაკო თქვენს მათრახს, მისი პატივცემული ზურგი.

მისივე.

—

**ქვალონი.** დღეს ქვალონის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი მხნე და ენერგიულ მოხელის ალე კუჭუხიძის უდროვოდ დაკარგულ „კონტროლიურ სულის“ მოსახსენებლად. ხალხი აუარებელი დაესწრო. წარმოთქმულ იქნა სამგლოვიარო სიტყვები. ორატორებმა თავის სიტყვებში ნათლად და მკაფიოდ გაარკვიეს განსვენებულ კონტროლიორის მოღვაწეობა. გლოვობენ განსვენებულ კონტროლიორს რკინის გზის კონდუქტორებიც. მართალია თვით ალე ცოცხალია, მაგრამ „ОТКРЫТЫЙ ЛИСТЪ НА ПРАВО КОНТРОЛЯ“ მორჩა. ვაი ამისთანა სიცოცხლეს!

—

**დ. ხაშური.** ამ უკანასკნელ ხანებში ადგილობრივმა პოლიციამ აქ ძლიერ მოუხშირა ჩხრეკასა და დაპატიმრებას. თუ ასე გასტანა—მოსალოდნელია, მომავალი ახალწლისთვის ხაშურში მხოლოდ ბოქაულ-მამასახლის-„სტრაჟნიკების“ მეტი

*) ასეთ ჩაგრულებს, როგორც ახალი ისტორიიდან ვიცით ბ-ნი გიორგი გვაზავა მფარველობს ხოლმე.

ეშმაკი.

ალარავინ დარჩეს, რაც უკიდურესათ დაამწუხრებს მათ, რადგან ალარ ეცოდინებათ, შემდეგ ვინ დააპატიმრონ..:

ხაშურლების საქმე, ამ ჟამათ, არც სხვა მხრივ მიმდინარეობს კარგათ, რადგან ამა თუ იმ პირის მიერ ,,ბახუსის ცრემლით'' თავის მოწამვლა დღითი-დღე მატულობს. უკანასკნელათ,—7 სექტემბერს კიდევ მოიწამლეს თავი მიხაილოვის დეპოს ორმა მუშამ,—ქიმერიძემ და ლ. ბოლოკაძემ.

თავის მოწამვლის მიზეზათ დეპოში ზედმეტი შრომის მოსპობას ასახელებენ.

ახლათ გაეშმაკებული.

—

**ბორჯომი.** ბორჯომის მე სამე კლასის ბუფეტის შესახებ მინდოდა ცოტა რამ მომეწერა, რადგან აქ ხშირათ 2 3 დღის გაკეთებული საჭმელით უმასპინძლდებიან გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ ბუფეტის პატრონმა,— ბ. არჩვაძემ დამარწმუნა, რომ ძველი საჭმელი კუჭისთვის უკეთესი მოსანელებელია, ვინემ ახალით და მეც აბა რაღა უნდა მეთქვა? „სიკეთისათვის“ საყვედური ვის უთქვამს??!

ვუსურვებ მათ თქვენი მათრახის კუდს...

მართლა, კინაღამ დამავიწყდა... ამასწინათ ბორჯომიდან „მათრახ-სალამურში“ მოთავსებულმა ლექსმა აქ დიდი ალიაქოთი გამოიწვია... დეპოს „მანტიორი“ კანტორაში მიუვარდა ერთ ვიღაც მოსამსახურეს და აგინებდა: „აი, შე ასეთ ისეთო!.. როგორ გაბედე და მე შენ გაზეთში ჩამაგდეო და სხვა... თუმცა უკანასკნელმა ბევრი იფიცა—„ღმერთი, რჯული, მე არაფერი დამიწერია, თუ გინდა რედაქციაში იკითხეო...“, მაგრამ არაფერი ეშველა...—„მე შენ გიჩვენებ!.. ჩემი რედაქცია ჟანდარმთა პოლიცია არისო“...—გაიძახოდა ის.

როგორც გადმოგვცეს, ბ. „მანტიორი“ უკვე ყოფილა მის სატრფიალო „რედაქციაში“, მაგრამ ,,რედაქტორს'' სანუგეშო ვერაფერი უთქვამს..

ახ—ი.

—

**ს. სამიქაო.** სულ ორი წელიწადია, რაც დაარსდა სანარდო სახლი, და მუშაობაც გაჩაღდა ეხლა კარტსაც შეაჩვიეს ხელი მთელს ქუთაისის გუბერნიაში ჩვენი სოფელი პირველია ამ მხრით. ამ დიდებულ საქმის ინიციატორები არიან ბ-ნი. დ. კ—ნი. ე. ჩ—ლი. ნ. მ—ძე. ბ. მ—ძე. ს. ბ—ია. ნ. ლ—ლი. ამათ გარდა სხვაც ბევრნი არიან ინათ სიაში ჩაწერილები მაგრამ იმათი მოხსენება ჯერჯერობით არ მინდა, რადგან ისინი ახლებათ ითვლებიან და ადვილათ შეიძლება გადაეჩვიონ, როცა დაინახავენ რომ მათ უფროსს მეთაურებს ზურგი აეწვებათ მათრახისაგან ისინიც მალე შეშინდებიან რადგან მეტის-მეტი ლაჩრები არიან. სხვა ეშმაკო, კარგს იზამთ თუ ერთხელ მაინც ჩამოივლიდეთ და დაათვალიერებდეთ ჩვენს სოფელს. ეშმაკო, ძალიან სიფრთხილე კი გმართებთ თორემ ჩვენი ბლაღოჩინი და მამა ი. კარნაძე ძალიან სდევნიან ახალ შემოსულებს. მოძღვარი [illegible] ტაქტიკას მას შემდეგ დაადგა როცა [illegible] ფულზე ლაპარაკი შეიქნა სოფელში.

თქვენი **აბადონა.**

—

**ქ. სოხუმი.** აგრილდა თუ არა, ჩვენი მოსაქმე ხალხი სოხუმს დაუბრუნდა. „მამები“ ყველანი „დაჩაზე“ იყვენ. ისე დასუქებულან (თუმცა არც აქ აკლდათ სიმსუქნე) ისე გამშვენიერებულან, რომ ავ თვალს არ ენახება. ქალაქი უწყლოთ არის. საჭიროა „მამებმა“ იზრუნონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურს არ იბერტყავენ, რადგან თვითონ ყველაფერი აქვთ, წყლის მაგიერ შამპანიურს მიირთმევენ და სოხუმელები მეწყერსაც წაუღია.

ამას წინად ქალაქის გამგეობიდან დაითხოვეს ფულის ამკრეფი და ბუხგალტერი. როგორც ამბობენ ფულის ამკრეფს ფული უკრეფია, ბუხგალტერს წიგნებში უწერია და ფულები კი ორივეს ჯიბეში უტენია. ეს საქმე შეიძლება მიფუჩეჩებულიყო, რომ თავი არ გამოედვა გამგეობის წევრს ანთიმოზ ჯუღელს. აქ გვყავდა კიდევ ექიმი, რომელიც ქანქრის ყლაპვას გარდა ავადმყოფებს სჭმელს და ტანისამოსს სტაცებდა. რომ შეატყო საქმე ცუდათ არისო თვითონ მიანება თავი სამსახურს. ეხლა სოხუმლები ეძებენ ექიმს.

**დასიცხული**

—

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! სიამოვნებით ვეთანხმები ბ-ნ კასიოს (მათრახ-სალ. № 10) სამედიატორო სამართალზე, იმ პირობით რომ განაჩენი უნდა იქნას გამოცხადებული ერთ-ერთ ქართულ გაზეთში და მასთან მტყუანმა პირმა 25 მ. უნდა გადაიხადოს ოზურგეთის მომავალი რეალურ სასწავლებლის სასარგებლოთ. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ კალე ელენტს და ვანო დელისპირელს.

**მელტონ დოლიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში, რომ ბორჯომის დეპოს შესახებ დაბეჭდილი ლექსის ავტორი მე არა ვარ (მათრ. სალ. № 11)

**ვანო ნაცვლიშვილი**

—

**რედ.** მოვუხსენებთ ბ-ნ მონტიორს. რომ ფრიად შემცდარა თუ „რიმკუსის“ სანაცვლოთ „ანგარიშს“ ნაცვლიშვილთან ასწორებს, ვინაიდან ამ უკანასკნელს არავითარი კავშირი არა აქვს აღნიშნულ ლექსთან.


**გამოვიდა პირველი ტომი**

**დუტუ მეგრელის ლექსებისა.**

**წიგნი ღირს 75 კაპ.**


ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **შ. ტურაბელიძე.**

თბილისი